



საქართველოს პრეზიდენტის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N02/08/01 2022 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი

მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“

დაჯილდოების შესახებ

2022 წლის 29 ივლისს გუდაურში სამაშველო ოპერაციის დროს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი უმაღლესი სამოქალაქო პასუხისმგებლობისათვის, სამაგალითო, თავგანწირული ქმედებისათვის მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ დაჯილდოვდნენ:

ზაზა ლორია

- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში, მფრინავი (სიკვდილის შემდეგ)

დიმიტრი ქაძე

- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მაიორი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს თვითმფრინავების სატრანსპორტო ესკადრილის (სამსახური) მთავარი სპეციალისტი, ბორტ-ტექნიკოსი-ინსტრუქტორი (სიკვდილის შემდეგ)

ლევან ჩოხელი

- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს სასაზღვრო

- პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის
მთავარი სამმართველოს შვეულმფრენების
ესკადრილიის (სამსახური) განსაკუთრებით
მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი, ბორტ-
ტექნიკოსი-ინსტრუქტორი (სიკვდილის შემდეგ)
- ანდრო ქუჯოშვილი**
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უმცროსი
ლეიტენანტი, საქართველოს სასაზღვრო პოლიცი-
იის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი
სამმართველოს შვეულმფრენების ესკადრილიის
(სამსახური) წამყვანი სპეციალისტი, ბორტ-
მექანიკოსი-ოპერატორი (სიკვდილის შემდეგ)
- გიორგი მარგარიანი**
- სამოქალაქო უსაფრთხოების უმცროსი
ლეიტენანტი, საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე
რეაგირების მთავარი სამმართველოს სწრაფი
რეაგირების სამმართველოს ინსპექტორი
(სიკვდილის შემდეგ)
- კახა ტორჩინავა**
- სამოქალაქო უსაფრთხოების მაიორი,
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის
განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების
მთავარი სამმართველოს სწრაფი რეაგირების
სამმართველოს უფროსი ინსპექტორი (სიკვდილის
შემდეგ)
- გიორგი ვენეცი**
- სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და
გადაუდებელი დახმარების ცენტრის პირველი

ფილიალის ექიმი (სიკვდილის შემდეგ)

- ქეთევან გულაძაშვილი** - სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის პირველი ფილიალის უმცროსი ექიმი (სიკვდილის შემდეგ).

